

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



44019138082419

### საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

**სამეწარმეო იურიდიული პირის წესდების დამოწმება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N190629013



რეგისტრაციის თარიღი

03.06.2019 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე გვანცელაძე

მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39

ტელეფონი: 2 23-07-87

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

დამტკიცებულია აქციონერის  
2019 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით

სააქციო საზოგადოება  
"ბანკი ქართუ"

წესდება  
(2019 წლის 03 ივნისის რედაქცია)

ქ. თბილისი  
2019 წელი

## მუხლი 1. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

### საფირმო სახელწოდება

1.1 სააქციო საზოგადოება “ბანკი ქართუ” (შემდგომში “ბანკი”/„საზოგადოება“) შექმნილია დამფუძნებელთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად და წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ იურიდიულ პირს - კომერციულ საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებას სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით, თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას, მათ შორის მოიზიდავს ფულად სახსრებს და განათავსებს მათ თავისი სახელით დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე, ახორციელებს სხვა ოპერაციებს წინამდებარე წესდების, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.

1.2 სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკი “როსიისკი კრედიტი-ქართუს” სახელწოდებით ბანკის პირველადი რეგისტრაცია განახორციელა ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლომ, 1996 წლის 01 ნოემბერს, რეგისტრაციის ნომერი 5/5-54.

1.3 ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 26 ივნისის დადგენილებით ბანკის საფირმო სახელწოდებად განისაზღვრა სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ“, ინგლისურ ენაზე ბანკის სახელწოდებაა "CARTU BANK" Joint Stock Company (JSC), რუსულ ენაზე ბანკის სახელწოდებაა Акционерное Общество (АО) «Банк Карту».

1.4 ბანკს გააჩნია საფირმო დასახელება. ბანკი უფლებამოსილია თავისი საქმიანობისას გამოიყენოს ბეჭედი, ბლანკი, შტამპ(ებ)ი და იურიდიული პირისთვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტები. საზოგადოების მიერ გაცემულ დოკუმენტებზე, ან საზოგადოების მიერ ხელმოწერილ სხვა დოკუმენტებზე საზოგადოების ბეჭდის ან/და სხვა ატრიბუტების არსებობა ან არარსებობა არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს და ბეჭედს/სხვა ატრიბუტებს აქვს მხოლოდ დამატებითი დაცვითი ფუნქცია. დოკუმენტების ნამდვილობისათვის გადამწყვეტია საზოგადოების უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა.

1.5 ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. 39ა., ელექტრონული მისამართი: [info@cartubank.ge](mailto:info@cartubank.ge)

## მუხლი 2. ბანკის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

2.1. ბანკი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულს.

2.2. ბანკი საკუთარ ვალდებულებებზე, მათ შორის მოქალაქეთა ანაზღაურებზე პასუხს აგებს საკუთარი ქონებით. ბანკი პასუხს არ აგებს აქციონერთა ვალდებულებებზე.

2.3. აქციონერი, რომელსაც სრულად არა აქვს გადახდილი განთავსებულ (გამომვებულ) აქციათა ღირებულება, საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს ნებადართული (განცხადებული) კაპიტალიდან შეუტანელი შესატანის (გამომვებული მაგრამ გაუნაღებელი აქციების) შესაბამისი კუთვნილი წილის ოდენობით.

2.4. ბანკი უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით გახსნას ფილიალები, სერვისცენტრები და წარმომადგენლობები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, მიანიჭოს მათ ბანკის დამფუძნებელი დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებები. ბანკის ურთიერთობა სხვა სახელმწიფოს ბანკებთან მყარდება სახელმწიფოებო ურთიერთობების საფუძველზე.

2.5. თავისი საქმიანობის განხორციელებისას ბანკი ხელმძღვანელობს: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სამოქალაქო კოდექსით, “მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის/სხვა მაკონტროლებელი ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით) და საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებიც კომერციული ბანკების საქმიანობას შეეხება, აგრეთვე საზოგადოების წესდებით, აქციონერთა საერთო კრების/სამეთვალყურეო საბჭოს/დირექტორატის გადაწყვეტილებებით და ბანკის შიდა მარეგულირებელი აქტებით.

2.6. ბანკის სამუშაო ენაა ქართული. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია სამუშაო ენად გამოიყენოს ინგლისური, რუსული ან/და სხვა ენა, მათ შორის შესაძლებელია ბანკის მიერ ამ ენებზე შედგენილ

... უზენაესი მნიშვნელობის დოკუმენტები, ხელშეკრულებები, ცნობები და სხვა დოკუმენტები.

... ბანკი შიდა დოკუმენტრუნვა ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

### მუხლი 3. ბანკის კაპიტალი. ფონდები. ქონება

3.1. ბანკის საკუთარ სახსრებს შეადგენს: საწესდებო კაპიტალი, სარეზერვო და სხვა ფონდები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ბანკის საკუთრებაშია, ასევე სხვა ქონება, მათ შორის: უძრავი საკუთრება და არამატერიალური აქტივები.

3.2. ბანკის საწესდებო კაპიტალი ფორმირდება აქციონერთა მიერ აქციების გამოსყიდვით და უძრავი საკუთრება ბანკის ვალდებულებების უზრუნველყოფას.

3.4. ბანკის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ჩვეულებრივ სახელობით აქციებად, თითო აქციის ნომინალური ღირებულებაა 1,000.00 (ათასი) ლარი. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას. საზოგადოების კაპიტალის ოდენობა და აქციონერების მონაცემები დასტურდება აქციონერთა კრების გადაწყვეტილებ(ებ)ით ან/და სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრის ჩანაწერებით.

3.5. ბანკის საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება ხორციელდება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად. კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს აქციათა ნომინალური ღირებულების გაზრდის ან დამატებითი აქციების გამოშვების გზით.

3.6. საზოგადოებაში აქციონერის ცვლილება, ისევე როგორც დამატებითი აქციების (მათ შორის პრივილეგირებული აქციების) გამოშვება და საზოგადოების კაპიტალის გაზრდა ან შემცირება არ მოითხოვს წინამდებარე წესდებაში ცვლილების შეტანას.

3.7. ბანკის ოპერაციების შესაძლო ზარალის დასაფარავად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბანკის სარეზერვო ფონდი. სარეზერვო ფონდის ოდენობის და ფორმირების საკითხი დგინდება აქციონერთა საერთო კრების მიერ.

### მუხლი 4. ბანკის აქციები

4.1. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში.

4.2. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან.

4.3. ბანკის აქციები არსებობს არადოკუმენტარული ფორმით. ბანკის აქციებით მინიჭებული უფლებები ფიქსირდება ბანკის აქციონერთა რეესტრის წერილობით და ელექტრონულ მატარებლებში. ბანკის აქციონერები არიან ის პირები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ ბანკის აქციები დადგენილი წესით და რეგისტრირებულნი არიან აქციონერთა რეესტრში.

4.4. აქციათა რეგისტრაციას ახორციელებს ბანკი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აქციების გადაცემა ხდება აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით. ამონაწერი აქციათა რეესტრიდან დამოწმებული უნდა იყოს საზოგადოების გენერალური დირექტორის ან ერთ-ერთი დირექტორის და რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.5. აქციათა ყოველი ახალი გამოშვებისას, სხვა აქციონერებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უპირატესი უფლება აქვთ შეიძინონ ბანკის მიერ განთავსებული აქციები ბანკის კაპიტალში მათი წილის პროპორციულად, წინამდებარე წესდების 4.6 პუნქტით განსაზღვრული წესით. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია განსაზღვროს განსხვავებული წესი, მათ შორის, ცალკეულ შემთხვევებში, მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლება.

4.6. ნებადართული (განცხადებული) აქციების რაოდენობის ფარგლებში, დამატებითი აქციათა განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო. გადაწყვეტილებაში მიეთითება აქციონერთათვის აღნიშნულის შესახებ შეტყობინების წესი და ვადა, რომლის

განმავლობაშიც ყველა აქციონერს შეუძლია გამოიყენოს წინამდებარე წესდების 4.5. პუნქტით მინიჭებული უფლება. თუკი მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, რომელიმე აქციონერმა არ გამოიყენა უპირატესი შესყიდვის უფლება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული (მითითებული) ვადის განმავლობაში, დანარჩენ აქციონერებს უფლება აქვთ შეისყიდონ დარჩენილი აქციები იმ მომენტისათვის კაპიტალში არსებული მათი წილის პროპორციულად. აქციათა განთავსების შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს განთავსების წესი და ვადა, მინიმალური ღირებულება, ასევე განთავსების სხვა პირობები.

4.7. აქციათა განთავსებას უზრუნველყოფს ბანკის დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესითა და პირობებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.8. ბანკის კაპიტალის მნიშვნელოვანი წილის შექმნა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურათა დაცვით. ბანკის კაპიტალის მნიშვნელოვანი წილის ოდენობა განისაზღვრება კანონმდებლობით.

4.9. ბანკი, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლებამოსილია გამოსცეს პრივილეგირებული აქციები და განათავსოს ისინი ბანკის საწესდებო კაპიტალში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. პრივილეგირებული აქცია არ იძლევა აქციონერთა კრებაზე ხმის უფლებას, თუ წესდებით ან აქციონერთა გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია.

4.10. ბანკის მიერ აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის და აქციონერ(ებ)ის მიერ აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესები რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

#### მუხლი 5. ჩვეულებრივი აქცია. ბანკის აქციონერები

5.1. ბანკის ყოველი ჩვეულებრივი აქცია ანიჭებს თითოეულ აქციონერს უფლებათა ერთნაირ მოცულობას. ბანკის ჩვეულებრივი აქციების მფლობელ-აქციონერს უფლება აქვს:

5.1.1. მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში ხმის უფლებით (ერთი აქცია - ერთი ხმის უფლება), აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციის ყველა საკითხთან დაკავშირებით;

5.1.2. მიიღოს დივიდენდი აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

5.1.3. მიიღოს ინფორმაცია ბანკის საქმიანობის შესახებ, გაეცნოს მის საბუღალტრო წიგნებს და სხვა დოკუმენტაციას;

5.1.4. მიიღოს მონაწილეობა მოგების განაწილებაში;

5.1.5. გაასხვისოს/დააგირავოს კუთვნილი აქციები აქციონერთა საერთო კრების თანხმობით.

აღნიშნული არ ვრცელდება საჯარო ფასიან ქაღალდებზე;

5.1.6. გამოიყენოს გასასხვისებელი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება, აგრეთვე დამატებით გამოშვებული აქციების შესყიდვის უპირატესი უფლება საწესდებო კაპიტალში წილის პროპორციულად, ან მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე.

5.1.7. ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ მიიღოს ბანკის ქონების ნაწილი, მის მფლობელობაში არსებული აქციების ღირებულების პროპორციულად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. აქციონერის მოვალეობაა შეიტანოს შესატანი შესაბამისი ოდენობის აქციების მისაღებად.

5.3. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, საწარმოს წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს) მოსთხოვონ საწარმოს აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათთან. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები ვალდებული არიან, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა ჩაატარონ საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები, ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილი არიან შეიტანონ

დამატებები აქციონერთა მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგში. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ ბოლო კრების ჩატარებიდან არა უადრეს 1 თვისა.

**მუხლი 6. საბანკო საქმიანობა. ნებადართული ოპერაციები და ბანკის სხვა გარიგებანი**

6.1. მიღებული ლიცენზიის შესაბამისად ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს შემდეგ ოპერაციები/საქმიანობა:

- ა) პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;
- ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფექტირების ჩათვლით;
- გ) საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;
- დ) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;
- ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);
- ვ) უპროცენტო საბანკო მომსახურება;
- ზ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- თ) კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- ი) ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
- კ) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- ლ) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;
- მ) ქონების იჯარით გაცემა;
- ნ) საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
- ო) ქონების ლიზინგით გაცემა;
- პ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

6.2. საქართველოს საბანკო კანონმდებლობის დაცვით ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს სხვა სახის ოპერაციები და საქმიანობა.

**მუხლი 7. კლიენტთა (მომხმარებელთა) ინტერესების უზრუნველყოფა**

- 7.1. ბანკი საკუთარი შეხედულებით განკარგავს მოზიდული ფულად სახსრებს, ამასთან ამ სახსრების ნაწილს, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, განათავსებს ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე და იცავს საქართველოს კანონმდებლობით/შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნით დადგენილი ნორმატივებს და მოთხოვნებს.
- 7.2. ბანკი გარანტიას იძლევა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს ყველა ზომას, რათა დაიცვას და კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით გამოიყენოს ფულადი სახსრები და სხვა ფასეულობანი, რომელიც მოზიდულია კლიენტებისა და კორესპონდენტებისაგან.
- 7.3. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ბანკი იცავს საბანკო საიდუმლოებას, კლიენტის პერსონალურ მონაცემებს და სხვა კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მიეცეს შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეებს, შესაბამისი ანგარიშების მფლობელებს და მათ წარმომადგენლებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ორგანოებს და პირებს.

### მუხლი 8. ბანკის საკრედიტო რესურსები

8.1. ბანკის საკრედიტო რესურსების ფორმირება ხდება:

- ბანკის საკუთარი სახსრებით;
- ბანკის ანგარიშებზე არსებულ ფიზიკურ ან/და კერძო/საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა სახსრებით (დეპოზიტებით);
- მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის ანაბრების ხარჯზე;
- სხვა ბანკების (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის) კრედიტების ხარჯზე;
- სხვა მოზიდული სახსრების ხარჯზე.

8.2. საკრედიტო რესურსად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საოპერაციო წლის განმავლობაში გაუნაწილებელი მოგებაც.

### მუხლი 9. მოგების განაწილებისა და ზარალის ანაზღაურების წესი

9.1. ბანკის წმინდა მოგება, რომელიც ყალიბდება დადგენილი წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიმართება სხვადასხვა ფონდების ფორმირებისა და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად დივიდენდების გადასახდელად. წმინდა მოგება, რომელიც მიიმართება დივიდენდების გადასახდელად, ნაწილდება აქციონერთა შორის მათი კუთვნილი აქციების პროპორციულად. დივიდენდების გადახდა ხდება წელიწადში ერთხელ. ამასთან, საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება.

9.2. დივიდენდის ოდენობა ერთ ჩვეულებრივ აქციაზე ცხადდება აქციონერთა საერთო კრების მიერ, განვლილი წლისათვის ბანკის მუშაობის შედეგების შესაბამისად. დივიდენდები არ გადაიხდება გაუნაწილებელ აქციებზე (რომელთა მფლობელად, მათ განაღდებად ითვლება ბანკი).

9.3. დივიდენდების მიღების პრეტენდენტებად ითვლებიან ის აქციონერები, რომლებიც დივიდენდების განაწილების წინა დღეს რეგისტრირებულნი არიან აქციათა რეესტრში, როგორც ბანკის აქციონერები.

9.4. დივიდენდი შეიძლება გადახდილი იქნეს აქციებით ან ბანკის ობლიგაციებით (მოგების კაპიტალიზაცია).

9.5. ბანკი აცხადებს დივიდენდის ოდენობას გადასახადების გაუთვალისწინებლად და უხდის აქციონერს დივიდენდს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.6. ბანკს არა აქვს უფლება, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები:

- თუ ბანკის აქტივების ღირებულება ნაკლებია საწესდებო კაპიტალსა და სარეზერვო ფონდზე ან თუ დივიდენდების გადახდით შემცირდება მათი ოდენობა.

9.7. ზარალი ანაზღაურდება სარეზერვო ფონდის ხარჯზე, თუ ესეც არაა საკმარისი - ბანკის სხვა საკუთარი სახსრების ხარჯზე, მათ შორის მისი ქონების რეალიზაციის ხარჯზე.

9.8. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია, არ გაანაწილოს დივიდენდი. გაუნაწილებელი მოგება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მიიმართოს სარეზერვო ფონდში ან გამოიყენებულ იქნეს სხვა მიზნით. ამგვარი გადაწყვეტილების არ არსებობისას, გაუნაწილებელი მოგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბანკის ჩვეულებრივი საქმიანობის განსახორციელებლად.

### მუხლი 10. ბანკის მართვის ორგანოები

10.1. ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება (შემდგომში - „აქციონერთა კრება“), რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად.

10.2. აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც უზრუნველყოფს ზედამხედველობას კომერციული ბანკის საქმიანობაზე, კონტროლს უწევს დირექტორატის საქმიანობას და პასუხისმგებელია ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

10.3. ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს და ოპერატიულ ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს დირექტორატი (საზოგადოების დირექტორები), რომლის წევრებსაც (დირექტორებს) ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

10.4. ბანკის მართვის ორგანოების სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი, რაც განსაზღვრული არ არის წინამდებარე წესდებით, განისაზღვრება ბანკის შიდა დოკუმენტებით/მინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

### მუხლი 11. აქციონერთა კრება

- 11.1 აქციონერთა მორიგი კრება, როგორც წესი, მოიწვევა ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს წინა სამეურნეო წლის დასრულებიდან 6 თვისა.
- 11.2 აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე განიხილება წლიური შედეგები და მოგების განაწილების საკითხები.
- 11.3 აქციონერთა წლიური საერთო კრების გარდა ჩატარებული კრებები წარმოადგენენ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებებს.
- 11.4 აქციონერთა კრების მოწვევას ახორციელებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. აქციონერთა კრების სხდომა ტარდება, როგორც წესი ბანკის ადგილმდებარეობის ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ, წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე.
- 11.5 დირექტორატის, სამეთვალყურეო საბჭოს, აგრეთვე აქციათა 5 %-ის მფლობელი აქციონერების მოთხოვნით დაიშვება რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება, წინამდებარე წესდების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული წესით, თუ კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 11.6 აქციონერთა საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება აქციონერთა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება აქციონერთა კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ამ პუნქტში აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.
- 11.7 შეტყობინება აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ უნდა იქნეს გაკეთებული აქციონერთა საერთო კრების მოწვევის თარიღამდე 20 კალენდარული დღით ადრე და უნდა იქნეს გამოქვეყნებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში. აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელ აქციონერებს, შეტყობინება (მოსაწვევი მონაწილეობისათვის) მომავალი აქციონერთა საერთო კრების შესახებ ეგზავნებათ სხდომის ჩატარების თარიღამდე 20 კალენდარული დღით ადრე დაზღვეული წერილის სახით.
- 11.8 აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს:
- ბანკის სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
  - აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო;
  - დღის წესრიგი;
  - სადრიცხვო დღე;
  - სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის რეკომენდაციები;
  - პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.
- 11.9 რიგგარეშე საერთო კრება ტარდება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ამ კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სადრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სადრიცხვო დღისთვის. სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო) მიერ, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ. საერთო კრების მოწვევის

შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას უნდა დაერთოს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება. სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი დაზღვეული წერილით ეგზავნებათ. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით.

11.10 აქციონერთა საერთო კრებას თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - თავმჯდომარის მოადგილე, ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში კი - გენერალური დირექტორი (მისი მოვალეობის შემსრულებელი), ხოლო ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით არჩეული პირი. აქციონერთა საერთო კრების მდივანი აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ დამსწრე აქციონერთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. აქციონერთა საერთო კრების ჩატარებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა მდივანი აფორმებს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე და მდივანი. აქციონერთა საერთო კრების სხდომის ოქმების ორიგინალები ინახება სამეთვალყურეო საბჭოს მდივანთან, ხოლო ოქმების ასლები ეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და ბანკის გენერალურ დირექტორს.

11.11 თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, წესდების 11.9. პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, ამ წესდების 11.9. პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად.

11.12 აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ბანკის წესდებაში ან დაამტკიცოს ბანკის წესდების ახალი რედაქცია;

ბ) გადაწყვიტოს ბანკის რეორგანიზაციის, საქმიანობის შეწყვეტის ან ლიკვიდაციის საკითხი;

გ) დამატებით აქციათა გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმება;

დ) ნებადართული (განცხადებული) აქციების ოდენობის და მათი ნომინალური ღირებულების განსაზღვრა. მიიღოს გადაწყვეტილება აქციათა დაყოფის ან კონსოლიდაციის შესახებ. კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების აქციათა გამოსყიდვის შესახებ;

ე) გასცეს თანხმობა ბანკის აქციონერთა შემადგენლობის შეცვლის/აქციათა მესამე პირზე გასხვისების/უფლებრივად დატვირთვის შესახებ, გარდა საჯარო ფასიანი ქაღალდებისა;

ვ) სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობის განსაზღვრა, მისი წევრების არჩევა, მათი უფლებამოსილების ვადის დადგენა, სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული ან ყველა წევრის უფლებამოსილების ნებისმიერ დროს შეწყვეტა, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან სასამსახურო (დავალების) ხელშეკრულების დადება. აკრძალულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიმართ რაიმე სახის წახალისების ზომების გამოყენება კომერციული ბანკის ხარჯებიდან.;

ზ) დაამტკიცოს ბანკის (მისი სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის) წლიური ანგარიშგება, საბუღალტრო ბალანსი, ფინანსური და სხვა სახის ანგარიში/ანგარიშგება, აგრეთვე დაამტკიცოს აუდიტის კომიტეტის დასკვნა;

თ) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების შესახებ;

ი) მიიღოს გადაწყვეტილება წლიური დივიდენდების ოდენობის და გადახდის შესახებ, ასევე გადახდის ფორმის შესახებ;

კ) აირჩიოს გარე აუდიტორი;

ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები ქონების შექმნის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, თუ გარიგების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 350,000,000.00 (სამას ორმოცდაათი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წინამდებარე წესდების 6.1 პუნქტის შესაბამისად წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას. .

11.13 აქციონერთა საერთო კრების მიერ ქვემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა 75%-ზე მეტის თანხმობა:

- ბანკის წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ან ბანკის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;

- ბანკის რეორგანიზაციის, საქმიანობის შეწყვეტის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

- დამატებით აქციათა გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმება.

11.14. ყველა დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა 50%-ზე მეტის თანხმობა.

## **მუხლი 12. სამეთვალყურეო საბჭო**

12.1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უნდა შეესაბამებოდნენ კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო და საქმიანი რეპუტაციის შესახებ მოთხოვნებს.

12.2. სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ 2 (ორი) წევრისა, უნდა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ წევრებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს დამოუკიდებელ წევრად დანიშნვიდან 9 წლის გასვლის შემდგომ, ავტომატურად უწყდება დამოუკიდებელი წევრის სტატუსი. აღნიშნული ვადა აითვლება საბჭოს წევრის დანიშვნის დღიდან. სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ 20% (არანაკლებ 1 წევრი) უნდა შედგებოდეს მდებარეობითი სქესის წარმომადგენლებისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევის და დანიშვნის საკითხები განისაზღვრება კანონმდებლობით და ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტ(ებ)ით.

12.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს, თუ აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით სხვა რამ არ იქნება დადგენილი. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ვადის გასვლის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უგრძელდება უფლებამოსილება აქციონერთა კრების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის არჩევამდე. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეულ ან ყველა წევრს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს ნებისმიერ დროს.

12.4. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გადადგეს მიზეზის მითითების გარეშე, სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენილი და აქციონერთა საერთო კრებაზე განხილული განცხადების საფუძველზე.

- 12.5. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომის ან მისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი უნდა აირჩეს 6 თვის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი ან გამოწვეული წევრის საქმიანობის დარჩენილი ვადით. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრის განცხადების საფუძველზე სასამართლოს, ბანკის იურიდიული მისამართის მიხედვით, შეუძლია დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.
- 12.6. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან უფლებამოსილების მთელი ვადით ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. თუ თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის ასაკით უხუცესი წევრი დაინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.
- 12.7. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე/სამეთვალყურეო საბჭოს წევრი), ორგანიზებას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობას, იწვევს მის სხდომებს, თავმჯდომარეობს მას, განსაზღვრავს დღის წესრიგს და ორგანიზებას უწევს სხდომებზე ოქმის წარმოებას.
- 12.8. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს მთლიან ეფექტურ ფუნქციონირებაზე, მათ შორის საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტურ თანამშრომლობაზე.
- 12.9. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრს, საბჭოში წარმოდგენილ დამოუკიდებელ წევრთაგან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეულ უნდა იქნას უფროსი დამოუკიდებელი წევრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე. უფროსი დამოუკიდებელი წევრი შესაძლოა, იმავდროულად არჩეულ იქნას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე. უფროსი დამოუკიდებელი წევრი ითავსებს საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას ყველა ისეთ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს აქვს/შესაძლოა, წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი განსახილველ საკითხზე. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ისეთი საკითხ(ებ)ის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას, როდესაც საბჭოს რომელიმე წევრს აქვს პირდაპირი კავშირი განსახილველ საკითხთან, რამაც შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, აღნიშნულმა წევრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საკითხის განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში. ამასთან, განსახილველ საკითხთან არაპირდაპირი კავშირის შემთხვევებში, ბანკმა უნდა შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტის რისკები და გაითვალისწინოს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.
- 12.10. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით.
- 12.11. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარებისათვის კვორუმი შეადგენს სამეთვალყურეო საბჭოს არჩეულ წევრთა ნახევარს.
- 12.12. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულად არ ჩაითვლება. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მოადგილე) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა, იგივე დღის წესრიგით, მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი

არყოფნისას – მოადგილე) იწვევს აქციონერთა საერთო კრებას ახალი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის მიზნით. თუ აქციონერთა საერთო კრების მოწვევა არ მოხდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (მისი მოადგილის) მიერ, აქციონერთა საერთო კრებას იწვევს ბანკის დირექტორატი.

- 12.13. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები შეიძლება ჩატარდეს სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით ან კომუნიკაციის სხვა თანამედროვე ელექტრონული საშუალების გამოყენებით.
- 12.14. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარის არ-ყოფნის შემთხვევაში, ოქმს ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრ(ებ)ი/თავმჯდომარის მოადგილე. დასაშვებია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმზე ან სხდომის ოქმის ამონაწერზე ხელი მოაწეროს სამეთვალყურეო საბჭოს კორპორაციულმა მდივანმა. სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი/კორპორატიული მდივანი უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს ოქმის პროექტის შედგენას, ოქმების დედნების აღრიცხვა-სისტემატიზაციასა და შენახვას, ასევე, ოქმის ასლის მიწოდებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის და გენერალური დირექტორისთვის/დირექტორ(ებ)ისთვის.
- 12.15. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები დაუსწრებლად (გამოკითხვის გზით). სამეთვალყურეო საბჭო სხდომების დაუსწრებლად ჩატარების შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 8 კალენდარული დღით ადრე უგზავნის სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს განსახილველ საკითხთა მასალებს და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტებს, დაუსწრებელი ხმის მიცემის ბიულეტენის სახით. მასალების მიწოდება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ შევსებული დაუსწრებლად ხმის მიცემის ბიულეტენების დედნები იგზავნება ბანკის იურიდიულ მისამართზე სამეთვალყურეო საბჭოს დაუსწრებლად ჩატარებული სხდომის დღიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში კურიერის ან დაზღვეული წერილის საშუალებით. აღნიშნული ბიულეტენების ასლები იგზავნება ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით. საბჭოს წევრებმა ხმის მიცემისას უნდა წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები, როგორც სასარგებლო ასევე საწინააღმდეგო პოზიციებზე. ბიულეტენების მიღების შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი 2 კალენდარული დღის განმავლობაში აჯამებს ხმის მიცემის შედეგებს. ამ შედეგების საფუძველზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. გადაუდებელ შემთხვევაში სხდომის ჩატარება შესაძლებელია დაუყოვნებლივ, წინასწარი შეტყობინების გარეშე, ზემოთ აღწერილი წესების დაცვით.
- 12.16. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება შემდეგი საკითხები:
- ა) ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და სტრატეგიული განვითარების განსაზღვრა. ბანკის ბიზნეს გეგმის დამტკიცება;
  - ბ) აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, სააღრიცხვო დღისა და დღის წესრიგის განსაზღვრა;
  - გ) გენერალური დირექტორის და დირექტორატის სხვა წევრების (დირექტორები) დანიშვნა, ზედამხედველობა მათ საქმიანობაზე, მათი უფლებამოსილების შეზღუდვა/შეწყვეტა. ასევე შრომის ანაზღაურების პირობების განსაზღვრა, მათთან სასამსახურო (დავალების) ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;
  - დ) დირექტორატის (და მისი ყოველი წევრის) საქმიანობაზე კონტროლოს განხორციელება;
  - ე) საწარმოთა დაარსება ან მათი ლიკვიდაცია, აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შექმნა/მათში გაერთიანება;
  - ვ) ბანკის ფილიალების, სერვისცენტრების და წარმომადგენლობის შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
  - ზ) აქციონერთა საერთო კრებისათვის დასამტკიცებლად იმ პირის (კანდიდატის) წარდგენა, რომელმაც უნდა განახორციელოს ბანკის გარე აუდიტორული შემოწმება;
  - თ) სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტების, მათ შორის აუდიტის კომიტეტის რისკების მართვის კომიტეტის შექმნა, მათი რაოდენობრივი და პერსონალური შემადგენლობის,

უფლებამოსილების ვადისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრა. ასევე ამ კომიტეტთა უფლებათა დამტკიცება;

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის და სამტატო განრიგის დამტკიცება, ბანკის მართვით სახელფასე ფონდის დადგენა;

ბანკის შინაგანაწესის, შიდა აუდიტის სამსახურის შესახებ დებულების, რისკების კომიტეტის დებულების, ბანკის აქციონერებთან ურთიერთობის განმსაზღვრელი შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტის, ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი დებულებ(ებ)ის, წესების, ინსტრუქციების, პოლიტიკების დამუშავება და დამტკიცება; ბანკის კომიტეტ(ებ)ის შემადგენლობ(ებ)ის და დებულებ(ებ)ის დამტკიცება, სხვა დებულებების, წესების, ინსტრუქციების, პოლიტიკების/შიდა ნორმატიული დოკუმენტების დამტკიცება, თუ ეს გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით ან მისგან გამომდინარეობს;

ლ) ფინანსური ანგარიშების წინასწარი განხილვა და მოწონება, მათი წარდგენა აქციონერთა საერთო კრებისათვის; აქციონერთა საერთო კრებისათვის მოგების განაწილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და წინადადებების შეთავაზება;

მ) ნებადართული აქციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; გამოსასყიდი აქციების რაოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; ბანკის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ნ) კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკის აქციებში კონვერტირებადი ობლიგაციების და აქციებში კონვერტირებადი სხვა ემისირებადი ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ო) ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, თუ გარიგების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 35,000,000.00 (ოცდათხუთმეტი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წინამდებარე წესდების 6.1 პუნქტის შესაბამისად წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას, ან წინამდებარე წესდების შესაბამისად ექვემდებარება აქციონერთა კრების კომპეტენციას;

პ) იურიდიული პირის აქციათა (წილი კაპიტალში) 50%-ზე მეტის შეძენის ან გასხვისების თაობაზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღება, თუ გარიგების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 35,000,000.00 (ოცდათხუთმეტი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესდების შესაბამისად, გარიგება ექვემდებარება აქციონერთა კრების კომპეტენციას;

ჟ) ინვესტიციების განხორციელება, რომელთა ღირებულება ცალკე ან ჯამში შეადგენს ან აღემატება 35,000,000.00 (ოცდათხუთმეტი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესდების შესაბამისად, გარიგება ექვემდებარება აქციონერთა კრების კომპეტენციას;

რ) საბანკო საქმიანობიდან გამომდინარე გაცემული კრედიტებზე (სხვა საკრედიტო პროდუქტებზე) და სესხებზე, სესხის/საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის პატიება/ძირითადი თანხის რესტრუქტურირება გადასახდელი ძირითადი თანხის შემცირებით, თუ საპატიებელი/რესტრუქტურირების გზით შესამცირებელი სესხის/საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის ოდენობა აღემატება მთლიანი საკრედიტო პროდუქტის/სესხის ძირითადი თანხის 50%-ს, მაგრამ არანაკლებ 50,000.00 (ორმოცდაათი ათასი) ლარისა, მისი ექვივალენტისა უცხოურ ვალუტაში;

ს) საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის შემოწმება და კონტროლი, ასევე ქონებრივი ობიექტების, კერძოდ, საზოგადოების სალაროს, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა აქტივების მდგომარეობის შემოწმება; შესაძლებელია ამ საკითხების შესრულება დაევალოს სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეულ წევრებს, კომიტეტებს, შიდა აუდიტის დეპარტამენტს ან მოიწვეულ დამოუკიდებელ ექსპერტებს;

ტ) დირექტორებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა, მატერიალური წახალისების საკითხის გადაწყვეტა;

წერილი შეტანა დირექტორატის წევრების წინააღმდეგ, მათ მიერ დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების, ან სხვა ისეთი ქმედების განხორციელების შემთხვევაში, რასაც შედეგად მოჰყვა ბანკისათვის ზიანის მიყენება.

12.17. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- ა) ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- ბ) საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდაპოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
- გ) კრედიტზე და დეპოზიტზე მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის დადგენა;
- დ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა;
- ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბანკთან დაკავშირებულ მხარეებთან გარიგების დადება/ტრანზაქციის განხორციელება, ასევე კანონმდებლობით სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე (თუ ეს უფლებამოსილება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დელეგირებული არ არის სხვაზე).

12.18. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, სხვა ფუნქციებთან ერთად, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად პასუხისმგებელი არიან:

- ა) განსაზღვრონ ბანკის ღირებულებები, ხედავ, მისია, ორგანიზაციული სტრუქტურა და უზრუნველყონ, რომ ბანკი იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;
- ბ) განსაზღვრონ ბანკის ეთიკის სტანდარტები და ქცევის კოდექსი და მუდმივად აფასებდნენ, დირექტორატის როლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში, რომელიც არ შემოიფარგლება, თუმცა, მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების, ასევე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ არსებულ კანონმდებლობასა და ბანკის შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას;
- გ) მუდმივი მონიტორინგი გაუწიონ ბანკის ანონიმური მხილების სისტემის (whistleblowing) მიმართულებით ბანკში არსებულ პოლიტიკა-პროცედურების ეფექტურობასა და მიუკერძოებლობას. ამასთან, ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ დირექტორატის მხრიდან სრული ანგარიშგება ხდებოდეს მათთან იმ მნიშვნელოვანი საკითხებისა, რაც დაისმება ბანკის სხვა რგოლების წარმომადგენელთა მიერ, რომლებიც სრულად დაცული უნდა იყოს პოტენციური ზიანისა და დისკრიმინაციისგან;
- დ) განსაზღვრონ ბანკის სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორატის მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;
- ე) უზრუნველყონ ბანკის საქმიანობის კანონმდებლობის, მათ შორის, საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობა.
- ვ) რისკების მართვის დირექტორთან (შემდგომში – რისკების დირექტორი) და დირექტორატის სხვა წევრებთან თანამშრომლობის შედეგად განსაზღვრონ ბანკის რისკის აპეტიტი. რისკის აპეტიტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, საზედამხედველო ხედვები, ბანკის გრძელვადიანი ინტერესები, ბანკის ყველა რისკის პოზიცია. რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები უნდა შეესაბამებოდეს გაცხადებულ რისკის აპეტიტს, რისკის პოლიტიკასა და ლიმიტებს;
- ზ) განსაზღვრონ ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის, როლები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას საბჭოსა და დირექტორატის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ჯეროვანი შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;
- თ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორატის საქმიანობას და შეაფასონ დირექტორატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასების შედეგად მიიღონ შესაბამისი ზომები. უზრუნველყონ რომ საბჭოს წევრები დირექტორატის მხრიდან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორატის საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების აპეტიტს და ბანკის შიდა კონტროლის მექანიზმები ქმედითად მუშაობს;

ი) მონიტორინგი გაუწიონ ბანკის ანაზღაურების სისტემას, რაც მათ შორის გულისხმობს აღმასრულებელ პოზიციაზე მყოფი პირების ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, ბანკის რისკის კულტურასა და რისკის აპეტიტთან შესაბამისობას;

კ) უზრუნველყონ კონტროლის ფუნქციების ეფექტურობა და დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს საქმიანობის განხორციელებისას ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, სხვა ნებისმიერი მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე;

ლ) უზრუნველყონ ეფექტური მართვის პროცესების დანერგვა და შენარჩუნება, რაც მათ შორის, მოიცავს დირექტორატისა და მატერიალური რისკის ამღებ სხვა პირთა ბანკიდან გადინებისას, ბიზნეს უწყვეტობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული შესაბამისი სტრატეგიებისა და პროცედურების შემუშავებას. ეფექტური მართვის პროცესის დანერგვა აგრეთვე მოიცავს ბანკის დასაქმებული პირების მუდმივ შეფასებასა და განვითარებას, ასევე, პოტენციურ კანდიდატთა მოძიებას;

მ) მონიტორინგი გაუწიონ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს და ამ მიზნით, უზრუნველყონ ბანკში შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურების არსებობა.

12.19. საბჭო, საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს ბანკის, დეპოზიტარების, აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს ზედამხედველთან ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება.

12.20. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება. აღნიშნული არ ეხება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების საბჭოს დონეზე შექმნილ კომიტეტებზე დელეგირებას.

12.21. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ინტერესებს. ისინი საქმეს უნდა მიუდგნენ გონივრულად და დამოუკიდებლად. მათ უნდა უზრუნველყონ კომპეტენტური დირექტორების შერჩევა და შენარჩუნება, მათი საქმიანობის გაკონტროლება, ბანკის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა და საბანკო საქმიანობის პოლიტიკის წერილობით ჩამოყალიბება.

12.22. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საბჭოს სხდომაზე შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით, სათანადო მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე.

12.23. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომელიც მას ეკისრება კანონდებლობით.

### მუხლი 13. დირექტორატი

13.1 ბანკის ხელმძღვანელობა და მართვა მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესდებისა და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული წესით ევალება ბანკის დირექტორატს.

13.2 სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ასევე მის მიერ დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურით განისაზღვრება დირექტორატის პერსონალური და რაოდენობრივი შემადგენლობა. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორატის წევრებს. დირექტორატი შედგება არანაკლებ სამი წევრისგან (დირექტორისაგან). ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ბანკის დირექტორებისათვის კანონმდებლობით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.

13.3 ბანკის დირექტორატის შემადგენლობაშია:

- გენერალური დირექტორი;
- ფინანსური დირექტორი - გენერალური დირექტორის მოადგილე;
- კომერციული დირექტორი - გენერალური დირექტორის მოადგილე;
- რისკების დირექტორი - გენერალური დირექტორის მოადგილე;

- ოპერაციების დირექტორი - გენერალური დირექტორის მოადგილე;
- 13.4 დირექტორატის წევრ(ებ)ის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს, თუ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, დირექტორის დანიშვნის შესახებ, სხვა რამ არ არის განსაზღვრული. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. დირექტორატის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, დირექტორატის წევრს უგრძელდება უფლებამოსილება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორატის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე/ახალი დირექტორის არჩევამდე.
- 13.5 დირექტორატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს ბანკის სახელით და პასუხისმგებელია აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- 13.6. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორატის ნებისმიერი წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, გაწვევით მათთან დადებული ხელშეკრულებები და მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორატის ახალი წევრის დანიშვნის თაობაზე.
- 13.7. ბანკის დირექტორატის კომპეტენციას განეკუთვნება:
- ა) მომგებიანი და სტაბილური საქმიანობის განხორციელების მიზნით ბანკის ოპერატიული ხელმძღვანელობის ორგანიზება და განხორციელება;
  - ბ) ბანკის სტრატეგიული განვითარების რეალიზაციის ორგანიზება ბიზნესის ძირითადი სახეების, საბანკო ქსელის, მმართველობისა და კონტროლის სისტემების, აგრეთვე ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის მიმართ. კონტროლი მათ განხორციელებაზე;
  - გ) ბანკის აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა;
  - დ) ფილიალის/სერვისცენტრის/წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება, ფილიალის/სერვისცენტრის/წარმომადგენლობის დებულებ(ებ)ის დამტკიცება, ბანკის ფილიალების, სერვისცენტრების და სხვა სტრუქტურული ერთეულების კონტროლი, შესაბამისი მითითებებით და ინსტრუქციებით უზრუნველყოს ფილიალების, სერვისცენტრების და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ფუნქციონირება დროული და სათანადო შესრულება;
  - ე) ბანკის/ფილიალების/სერვისცენტრების სტრუქტურული ქვედანაყოფების და დირექტორატთან არსებული კომისიების/სამუშაო ჯგუფების/სხვა დაქვემდებარებული სტრუქტურების/პირების დებულებათა, ინსტრუქციების, წესების დამტკიცება. ბანკის თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცება. სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბანკის წესები, შინაგანაწესი და ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტები; ბანკის ბიუჯეტის დამტკიცება;
  - ვ) ბანკის საქმიანობის, პროცედურების და ბიზნეს პროცესების მარეგლამენტირებელი შიდა დოკუმენტების დამტკიცება;
  - ზ) მიიღოს გადაწყვეტილებები ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის, ინვესტიციების და იმ შეთანხმებებისა ან ხელშეკრულებების შესახებ, თუ გარიგების ღირებულება/ბანკის მიერ გაწეული ერთჯერადი ან რამოდენიმე ეტაპად (ერთი ოპერაციის ფარგლებში) გაღებული ხარჯი არ აღემატება 35,000,000.00 (ოცდათხუთმეტი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში;
  - თ) საბანკო საქმიანობიდან გამომდინარე გაცემული კრედიტებზე (სხვა საკრედიტო პროდუქტებზე) და სესხებზე, პირგასამტეხლოს და პროცენტების, სესხით/საკრედიტო პროდუქტით მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა თანხის პატიება/რესტრუქტურირების გზით ნაწილობრივ ან მთლიანად შემცირება, ასევე სესხის/საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის პატიება/რესტრუქტურირაცია, თუ საპატიებელი/რესტრუქტურირების გზით

შესამცირებელი სესხის/საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის ოდენობა არ აღემატება მთლიანი საკრედიტო პროდუქტის/სესხის ძირითადი თანხის 50%-ს და სესხის/საკრედიტო პროდუქტის საპატივებელი/რესტრუქტურირების გზით შესამცირებელი ძირითადი თანხა ნაკლებია 50,000.00 (ორმოცდაათი ათასი) ლარზე. დირექტორატს შეუძლია ამ უფლებამოსილების, მთლიანად ან ნაწილობრივ, საკრედიტო კომიტეტზე ან/და ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულზე/პირზე დელეგირება;

ი) განიხილოს ბანკის მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხები, რომლებიც გამოტანილია დირექტორატზე განსახილველად;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოსგან დელეგირებულია დირექტორატზე;

ლ) იმ საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაზე, რომელიც ბანკის წესდების და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არ შედის ბანკის აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში.

13.8. დირექტორატის სხდომებს თავმჯდომარეობს გენერალური დირექტორი. მისი არყოფნის შემთხვევაში ერთ-ერთი დირექტორი/გენერალური დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე; დირექტორატის სხდომის ჩატარებისათვის საჭირო კვორუმი შეადგენს დირექტორატის წევრთა ნახევარს. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე დირექტორატის წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტა გენერალური დირექტორის ხმა.

13.9. დირექტორატი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაუსწრებლად (გამოკითხვის გზით), იმის გათვალისწინებით, რომ ხმის მიცემაში მონაწილეს დირექტორატის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ნახევარი. ამასთან, დასაშვებია დირექტორატის მოწვევა, მისი სხდომების ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით, კერძოდ ტელეფონით, ინტერნეტ კავშირის საშუალებების და დისტანციური კავშირის სხვა საშუალებების და პროგრამების გამოყენებით.

13.10. დირექტორატის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს დირექტორატის სხდომის მდივანი და მას ხელს აწერს გენერალური დირექტორი ან/და სხვა დირექტორ(ებ)ი. დასაშვებია გადაწყვეტილების ოქმის ამონაწერს ხელი მოაწეროს ერთ-ერთმა დირექტორმა. დირექტორატის გადაწყვეტილება წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და ბანკის აუდიტის კომიტეტს, მათი მოთხოვნის შესაბამისად. ასევე დირექტორატის გადაწყვეტილებით სხვა პირებს.

13.11. დირექტორატის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე დირექტორატის წევრებს შორის პრინციპული უთანხმოების შემთხვევაში, დირექტორატის წევრებს უფლება აქვთ თავიანთი აზრი შეატყობინონ სამეთვალყურეო საბჭოს.

13.12. დირექტორატს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირების უფლება.

13.13. ბანკის დირექტორატი ასრულებს სხვა აღმასრულებელ ფუნქციებს, რომლებიც განისაზღვრება კანონმდებლობით, ბანკის წესდებით და დირექტორატის დებულებით/სხვა შიდა დოკუმენტით, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

#### მუხლი 14. გენერალური დირექტორი და დირექტორები

14.1. წინამდებარე წესდების და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, გენერალური დირექტორი/დირექტორ(ებ)ი:

ა) ახორციელებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურით (მათში შემავალი ერთეულების) უშუალოდ დაქვემდებარებული დეპარტამენტების/განყოფილებების ხელმძღვანელობას და იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის წესდების, ეროვნული ბანკის/სხვა მაკონტროლებელი ორგანოს ნორმატიული აქტებისა, მასთან გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების და წესდების, აგრეთვე ბანკის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს ბანკის საქმიანობას;

გ) ერთპიროვნულად, ცალ-ცალკე წარმოადგენს ბანკს როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ, აწერს ხელს (დებს გარიგებებს), განაგებს ბანკის ქონებას, მათ შორის ფინანსურ სახსრებს, წინამდებარე წესდების მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. შეუზღუდავად დებს გარიგებებს/ხელშეკრულებებს/ახორციელებს ოპერაციებს, რომლებიც წინამდებარე წესდების 6.1 პუნქტის შესაბამისად წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო/საბანკო საქმიანობას;

დ) გასცემს მინდობილობებს, ადგენს ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გაფორმების/ხელმოწერის წესს.

ე) წყვეტს მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხებს, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა მმართველობითი ორგანოების კომპეტენციას.

14.2. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია გადაანაწილოს წინამდებარე წესდების 14.1 პუნქტში მითითებული საკითხების გადაწყვეტის უფლება ბანკის დირექტორატის წევრებზე. დირექტორ(ებ)ს უფლება აქვთ თავიანთ კომპეტენციაში მითითებული ცალკეული საკითხების გადაწყვეტა გადასცეს ბანკის სერვისცენტრების, წარმომადგენლობების და ფილიალების ხელმძღვანელებს და სხვა პირებს.

14.3. გენერალური დირექტორი და დირექტორები ვალდებული არიან ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი საქმიანობისას იმოქმედონ კეთილსინდისიერად, ისე როგორც ეს მოეთხოვება მათი კომპეტენციის მქონე და საღად მოაზროვნე პირს.

14.4. გენერალური დირექტორი და სხვა დირექტორები (დირექტორატი) ანგარიშვალდებულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. დირექტორატის წევრები (გენერალური დირექტორის მოადგილეები) ასევე ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორის წინაშე.

14.5. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია:

14.5.1. ზოგადი კოორდინაცია გაუწიოს და უხელმძღვანელოს დირექტორატის საქმიანობას. ბანკის ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულიდან და თანამშრომლიდან (მიუხედავად მისი დაქვემდებარებისა და თანამდებობისა) მიიღოს მისი კომპეტენციის ფარგლებში, დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს სპეციალური და ოპერატიული დავალებების შესრულების შესახებ აუცილებელ ნებისმიერი სახის ინფორმაცია;

14.5.2. მიიღოს დეპარტამენტების, სერვისცენტრების, განყოფილებებისა და სამსახურების უფროსებისაგან, უშუალოდ შემსრულებლისა და საქმის მწარმოებლისაგან ოფიციალური ცნობები კონტროლზე აყვანილი დავალებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საკონტროლო ვადის დადგენილი წესით გაგრძელების, აგრეთვე მისი შეუსრულებლობის მიზეზთა თაობაზე;

14.5.3. შეამოწმოს დეპარტამენტებში, სერვისცენტრებში, განყოფილებებსა და სამსახურებში დირექტორატისა და გენერალური დირექტორის დავალებათა შესრულების კონტროლთან დაკავშირებული მუშაობის მიმდინარეობა და საჭიროების შემთხვევაში მისცეს მათ შესაბამისი მითითებანი, ამ მიმართებით არსებული მდგომარეობის თაობაზე დასვას საკითხი დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე;

14.5.4. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული ბანკის/სხვა მაკონტროლებელი ორგანოს ნორმატიული აქტებით, ბანკის წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობები.

14.6. გენერალური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს გენერალური დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე, გენერალური დირექტორის დავალებით. ასეთი დავალების არ არსებობის შემთხვევაში დირექტორატის ერთ-ერთი წევრი.

14.7. ბანკს უნდა ჰყავდეს რისკების დირექტორი, რომელიც მონიტორინგს უწევს ბანკის რისკების მართვის ფუნქციის ეფექტურ განხორციელებას. რისკების დირექტორის დანიშვნა, გათავისუფლება და სხვა ცვლილებები დამტკიცებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;

14.8. რისკების დირექტორის ფუნქცია და უფლებამოვალეობები განისაზღვრება კანონმდებლობით, ბანკის წესდებით და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით.

### **მუხლი 15. კონტროლი და აუდიტი. რისკების კომიტეტი**

15.1 სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოსთან იქმნება აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი. აუდიტის და რისკების კომიტეტი შედგება 3-3 წევრისგან, საიდანაც 2-2 წევრი იქნება სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, ხოლო შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარე იქნება სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი დამოუკიდებელი წევრი.

15.2 კომიტეტები სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

15.3 აუდიტის კომიტეტის და რისკების კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგება და ფუნქციები, განისაზღვრება დებულებებით, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

15.6. ბანკის წლიური ანგარიშის სისწორის, შემოწმების და დადასტურების მიზნით ბანკი ყოველწლიურად იწვევს პროფესიულ აუდიტორულ ორგანიზაციას (გარე აუდიტი), რომელიც თავისი ქონებრივი ინტერესებით არ არის დაკავშირებული ბანკთან ან მის აქციონერებთან და რომელსაც ასეთი შემოწმების ჩატარებაზე გააჩნია ლიცენზია (გარე აუდიტორი).

15.7. ბანკი სისტემატურად აწარმოებს ანგარიშებსა და ჩანაწერებს და ადგენს წლიურ საფინანსო ანგარიშგებას, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე ზუსტად ასახავს მის ოპერაციებს და ფინანსურ მდგომარეობას, ამასთან იცავს საქართველოს ეროვნული ბანკის/სხვა მაკონტროლებელი ორგანოს წესების შესაბამის ფორმას, დეტალურობის დონეს და სააღრიცხვო ნორმებს.

### **მუხლი 16. ბანკის საქმიანობის შეწყვეტა**

16.1 ბანკის საქმიანობა წყდება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ბანკის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია საბანკო ლიცენზიის გაუქმების (ლიკვიდაციის) გზით.

16.2 ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკის/სხვა მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკის/სხვა მაკონტროლებელი ორგანოს მიერვე დადგენილი წესით. დაუშვებელია ბანკთან დაკავშირებული პირის ლიკვიდატორად დანიშვნა. ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება ბანკის წინააღმდეგ მიმდინარე ნებისმიერი იძულებითი აღსრულება.

16.3 ლიკვიდაციის სრული პროცესი და ლიკვიდაციის შემდგომ ქონების განაწილების წესი დადგენილია საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და ეროვნული ბანკის/სხვა მაკონტროლებელი ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რიგითობით კრედიტორთა დაკმაყოფილების შემდგომ დარჩენილი აქტივი (ფულადი თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნაწილდება აქციონერთა შორის ლიკვიდაციის დღისათვის საწესდებო კაპიტალში მათი წილის (აქციათა რაოდენობის) პროპორციულად.

16.4 ბანკის ლიკვიდაცია დასრულებულად ითვლება, ხოლო ბანკი წყვეტს ფუნქციონირებას მისი სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის შემდეგ. განცხადება ბანკის ლიკვიდაციის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

#### მუხლი 17. დასკვნითი დებულებანი

17.1 საზოგადოების აქციონერებს შორის საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

17.2. თუ წინამდებარე წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი ეს ვერ მოახდენს გავლენას წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;

17.3. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესდებით, წყდება მეწარმეთა შესახებ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

სს „ბანკი ქართუს“-ს 100%-ანი აქციონერის  
სს „ქართუ ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი

-----/გოჩა ჩიკვილაძე/

გოჩა ჩიკვილაძე

საქართველო  
სანოტარო აქტი

2019 (ორიათას ცხრამეტი) წლის 03 (სამი) ივნისს მე, ეკატერინე გვანცელაძეს, ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზირი 39"ა". მომმართა: გოჩა ჩიკვილაძემ (დაბ. 27.07.1965წ, თბილისი, პირადი ნომერი N01023008103), როგორც სს "ბანკი ქართუს" (ს/კ 204891652) 100%-იანი აქციონერის სს "ქართუ ჯგუფის" (ს/კ 204876642) აღმასრულებელმა დირექტორმა (რაც დასტურდება ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეთ(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან სს "ქართუ ჯგუფის" (ს/კ 204876642) შესახებ, მომზადების თარიღი: 13/03/2018), მან წარმომიდგინა სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ“-ს წესდება (2019 წლის 03 ივნისის რედაქცია) და მოითხოვა წესდების დამოწმება ნოტარიული წესით.

მე შევამოწმე მისი პირადობა, ქმედუნარიანობა, მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის სინამდვილეში, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა წესდებაზე.

*ნოტარიუსის და მხარის შეთანხმებით გადახდილია სანოტარო საზღაური დღგ-ს ჩათვლით: თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა # 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 19-ე მუხლის 1. და 2. პუნქტისა 80,00 (ოთხმოცი) ლარი + დღგ. 14.40 (თოთხმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) თანახმად საქართველოს საგდასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, + 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39 საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა # 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ".*

ნოტარიუსი

ეკატერინე გვანცელაძე





*Handwritten signature in blue ink, appearing to read 'Katherine'.*